ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030809095539320

№ 07-42/ო **26 / მარტი / 2020 წ.**

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტრის 2020 წლის 13 მარტის №07-36/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტრის 2020 წლის 13 მარტის №07-36/ო ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების, „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულთა დისტანციური მუშაობის ორგანიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის №01-105/ო ბრძანების მე-5 პუნქტის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ მე–5 მუხლის საფუძველზე, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 21 თებერვლის № 01-62/ო ბრძანების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თანამშრომელთა და ბენეფიციართა უსაფრთხოების მხრივ შესაძლო რისკის თავიდან აცილების მიზნით,“;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით განსაზღვრულ

ეპიდემიური რისკის მქონე ქვეყნებში, ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით - საქართველოში დაბრუნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;“;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტოს ცენტრალურმა აპარატმა (სააგენტოს ადმინისტრაციამ), ტერიტორიული ერთეულების (რეგიონული/რაიონული ცენტრები), სტრუქტურულის ერთეულების (თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი) და ფილიალების (სპეციალიზებული დაწესებულებები) (შემდგომში ყველა ერთად წოდებული „სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფი“) ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში (მათ შორის შენობა-ნაგებობებში) ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების (კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების www. moh.gov.ge/ka/741; www.ncdc.ge; www.stopcov.ge) დაცვა (მათ შორის სადღეღამისო მომსახურების მიმწოდებელმა დაწესებულებებმა შენობა-ნაგებობების სველი წესით დღეში სამჯერ დასუფთავება შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით, თანამშრომლებთან, ბენეფიციარებთან და უცხო პირებთან ურთიერთობისას, ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვა).“;

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სააგენტოს თანამშრომლებმა, გარდა დირექტორის მოადგილეებისა, დეპარტამენტების უფროსების, სააგენტოს ფილიალების და თავშესაფრების უფროსებისა, სამუშაო შეასრულონ დისტანციურად. ამასთან, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებმა სტრუქტურული ქვედანაყოფების აუცილებელი ფუნქციების უწყვეტობის, თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრონ ის თანამშრომლები, რომლებიც დროებით გადავლენ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სააგენტოს ცენტრალურ აპარატში დეპარტამენტების უფროსებმა განსაზღვრონ დეპარტამენტის თანამშრომელთა მუშაობის რეჟიმი;

ბ) ტერიტორიულ ერთეულებში:

ბ.ა) ოფისში უნდა იმყოფებოდეს არაუმეტეს 2 თანამშრომლისა;

ბ.ბ.) სოციალურმა მუშაკებმა თავიანთი ფუნქციები შეასრულონ დისტანციურად (მაშ შორის რეინტეგრაციის, მინდობით აღზრდის, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციართა შემთხვევებზე სატელეფონო კონტროლი კვირაში ერთხელ, ხოლო შესაბამისი ოქმის გაფორმება - თვეში ერთხელ. ამასთან, სოციალურმა მუშაკებმა კვირის განმავლობაში განხორციელებული სატელეფონო კონტროლის შესახებ ანგარიშები ყოველი კვირის პარასკევს წარუდგინონ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფროსს, ხოლო ტერიტორიული ერთეულების უფროსებმა ერთიანი ანგარიში წარუდგინონ მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტს) და ადგილზე გასვლა განახორციელონ მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში;

გ) კრიზისულ ცენტრებში:

გ.ა) ოფისში უნდა იმყოფებოდეს 1 თანამშრომელი (გარდა თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრისა, სადაც დაცული უნდა იყოს ბენეფიციართა 24 საათიანი უწყვეტი მომსახურება, ასევე ოფისში უნდა იმყოფებოდეს ცხელი ხაზის ოპერატორი);

გ.ბ) შეწყდეს მოქალაქეების მიღება, მომსახურება ბენეფიციარს გაეწიოს დისტანციურად. გადაუდებელ შემთხვევაში, ბენეფიციარის ოფისში მიღებისას, არ მოხდეს ერთდროულად ერთზე მეტი ბენეფიციარის მომსახურება;

დ) სააგენტოს ფილიალებში, თავშესაფრებში და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრში უზრუნველყოფილ იქნას ბენეფიციართა 24 საათიანი უწყვეტი მომსახურება, ამასთან თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის დღის მომსახურებაზე გავრცელდეს ამ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი.“.

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი

მერი მაღლაფერიძე